



სამუშაო შეხვედრა გურიის რეგიონში

დაბა ურეკი, 2015 წლის 18 აპრილი

სესია

შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები

მოდერატორი:

ელინა გელნიძე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, კულტურის პოლიტიკის სამმართველოს, სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი.

მონაწილეები:

ნათია ცომაია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის გენდერული თანასწორობის განყოფილების გამგე;

ნინო გირველიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის სპეციალისტი;

ქეთევან კუჭუხიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის სპეციალისტი;

კობა ბანძელაძე - ოზურგეთის კულტურის ცენტრის დირექტორი;

ინგა ღუმბაძე - ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორი;

ლელა ვასაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი

მარეხი გობრონიძე - კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი;

ნინო მამუკელაშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი კულტურის დარგში;

დავით წერეთელი - ლანჩხუთის კულტურის ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი;

გია ფირცხალაიშვილი - ლანჩხუთის ა.ა.ი.პ. კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილე;

ოთარ ცანავა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ინფრასტრუქტურის მთავარი სპეციალისტი;

ქეთევან სიხარულიძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ნაზი ბერძენიშვილი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი;

გურამ ბერძენიშვილი - ჩოხატაურის სამხატვრო სკოლის სპეციალისტი.

პრობლემები

- მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა;
- სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ფინანსების ნაკლებობა;
- საკანონმდებლო ხარვეზები;
- სუსტი მენეჯმენტი;
- ბაზრის ნაკლებობა;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის ნაკლებობა;
- უწყებათაშორისი, რეგიონალური და შიდა მუნიციპალური კომუნიკაციის პრობლემა;
- ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთის შეძენის კულტურის არარსებობა;
- ღონისძიების გაშუქების პრობლემა;
- ტურისტების ნაკლებობა;
- კადრების ნაკლებობა/გადენა;
- სახელოვნებო განათლებაში სტანდარტების/მეთოდოლოგიის არარსებობა;
- დაურეგულირებელი საგადასახადო ნორმები;
- დეცენტრალიზაციის არაეფექტურობა ფინანსების მართვის კუთხით.

რეკომენდაციები და პრობლემის გადაჭრის გზები

- ბანკებთან ურთიერთობა (კერძოდ ბანკებში კულტურის სტენდების განთავსება - ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობა, ხალხური რენვა და ა. შ.);
- სარეკლამო რგოლების გადაღება - კულტურული მემკვიდრეობის სეგმენტით რეგიონების მიხედვით;
- მასტერკლასებისა და სემინარების ჩატარება (სამინისტროს დახმარებით/რეკომენდაციით);
- საინფორმაციო ბანკის შექმნა (ბანკის ღია წვდომის უზრუნველყოფა, თუნდაც facebook-ის საშუალებით);
- საიტის შექმნა საინფორმაციო ბანკის საშუალებით (ონლაინ-მაღაზიისა და კულტურული კალენდრის ფუნქციით);
- საერთო პლატფორმის მქონე ორგანიზაციების ფორუმის ჩატარება (ტარდებოდა შავი ზღვისპირეთის მასშტაბით);
- ტურიზმის განვითარება რეგიონში;
- სახელოვნებო განათლების მქონე მოსწავლეების წახალისების, ასევე ამავე სეგმენტის მოსწავლეთათვის სოციალური დახმარების (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში) პროგრამების შექმნა;
- მაკონტროლებელი ინსტრუმენტების შექმნა - ამ ეტაპზე აუცილებელია კულტურის სფეროს ცენტრალიზებული მართვა;
- კანონი მეცენატობის შესახებ;
- ტურისტებისათვის კულტურული გზამკვლევის შექმნა;
- სტანდარტების დადგენა სახელოვნებო განათლებაში.

თხოვნა სამინისტროსთან:

- ლანჩხუთის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, დავით წერეთელმა, პირადი კავშირების მეშვეობით, უზრუნველყო თეატრის საჭირო მატერიალური ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა, კერძოდ, ბათუმის სახელმწიფო თეატრი ლანჩხუთის თეატრს გადასცემს მოძრავ ქონებას. ესაჭიროება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერა, კერძოდ, პროფესიონალი მსახიობების ჰონორარების უზრუნველყოფა სპექტაკლის სადადგმო ხარჯის ფარგლებში, გარდა ამისა მარიონეტების თეატრის გასტროლების უზრუნველყოფა საქართველოს რეგიონებში.
- გაუღერდა ინიციატივა საიტის შექმნის შესახებ, რომელიც შეითავსებს საინფორმაციო ბანკს, ონლაინ-მაღაზიასა და კულტურული კალენდრის ფუნქციას. სასურველია, რომ აღნიშნული საიტი შეიქმნას სამინისტროს ბაზაზე.
- ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა თუკი სამინისტროს მიერ, ჩატარდებოდა ტრენინგები შემოქმედებითი ევროპის პროგრამის ფარგლებში წარსადგენი პროექტების აპლიკაციის შევსებაში.
- აგრეთვე ესაჭიროებათ ორგანიზაციისა თუ ფიზიკური პირის რეკომენდაცია, რომელიც უზრუნველყოფს გურიის რეგიონში სემინარების ჩატარებას გაყიდვების მენეჯმენტსა და პიარში.

დანართი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სფეროებში არსებული პრობლემატიკის ანალიზი (7 ფურცელი).

საქართველოს კულტურის სტრატეგია 2025

ობიექტების მუნიციპალიტეტში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სფეროებში

არსებული პრობლემატიკის ანალიზი

ობიექტების მუნიციპალიტეტში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სფეროში მოღვაწეობს 30–ზე მეტი მხატვარი, მოქანდაკე, დიზაინერი, 70–მდე ტრადიციული ხალხური რენვის ოსტატი. დარგს ემსახურება ქალაქის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი – სურათების გალერეა და მუნიციპალური სამხატვრო სკოლა. ასევე, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში მოქმედი შემოქმედებითი და სანარმოო სტუდია. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 2 არასამთავრობო ორგანიზაცია – საქართველოს კულტურის ფონდის გურიის ფილიალი, გურიის მხატვართა შემოქმედებითი კავშირი.

მიუხედავად არსებული, არც თუ უმნიშვნელო ადამიანური და ინსტიტუციონალური რესურსებისა, დარგის შენარჩუნებისა და, მითუმეტეს, განვითარების პერსპექტივები არც თუ სახარბიელოდ გამოიყურება. შემოქმედი ადამიანების უმრავლესობა განიცდის მატერიალურ სიღუბეჭირეს, მოკლებულნი არიან შემოქმედებითი ღირებულებების შესაქმნელად ყველანაირ საჭირო რესურსს. ხელოვნების უმეტესობა იძულებულია თავის სარჩენად აბსოლუტურად განსხვავებული საქმე აკეთოს, რაც, ცხადია, მათ პროფესიულ ზრდას და ახალი იდეების სრულყოფას ხელს უშლის. არსებულმა გარემომებამ ხელი შეუწყო შემოქმედი ადამიანების მიგრაციას ქვეყნის დიდი ქალაქებში და საზღვარგარეთ, რამაც, მთლიანად რეგიონში მნიშვნელოვნად შეამცირა შემოქმედებითი პოტენციალი. სახელმწიფოს მხრიდან, თითქმის არანაირი დაინტერესება არ არსებობს შემოქმედი ადამიანების სოციალური დაცვისათვის, მათთვის შემოქმედებითი გარემოსა და საკომუნიკაციო სივრცეების არა თუ შექმნისათვის, არამედ ელემენტარული სამუშაო პირობების უზრუნველყოფისათვის.

დარგის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორებიდან, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამართლებრივი პრობლემები:

- მიუხედავად კულტურის კანონით განსაზღვრული გარკვეული შეღავათების არსებობისა, რეალურად შემოქმედი ადამიანების სასარგებლოდ, არც საგადასახადო კოდექსით, არც სხვა სახის ფინანსურ–სამართლებრივი აქტებით არ განსაზღვრულა და დაკონკრეტებულა, თუ რა სახის საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს სახელმწიფო ხელოვან ადამიანს. შემოქმედი ადამიანებისათვის პრობლემას წარმოადგენს სარეალიზაციო ობიექტების არარსებობა. ამიტომ

ისინი ან ქუჩაში ან ოჯახებიდან ყიდიან თავიანთ ნამუშევრებს. პრობლემები ექმნებათ გამოფენიდან ნამუშევრების გაყიდვის დროს საგადასახადო სამსახურებთან, რადგან უმრავლეს შემთხვევებში არ არიან რეგისტრირებული ფიზიკური პირები და კანონით გათვალისწინებული რაიმე შეღავათი მათთვის არ მოქმედებს, რაც იწვევს მათ დაჯარიმებას. ასევე პრობლემების წინაშე დგება საგამოფენო ორგანიზაცია ავტორთან ანგარიშსწორების პროცესში.

- ასევე, არანაირი შეღავათი არ არსებობს იმ მეცენატი, ქველმოქმედი ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც დააფინანსებდნენ შემოქმედ ადამიანებს, კულტურის ობიექტებს.
- ჯერ კიდევ არ შემუშავებულა შემოქმედებითი სანარმოების ე.წ. „ბიზნეს ინკუბატორების“ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრება, რომელიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო საგადასახადო კოდექსში.
- საერთოდ, კულტურის კანონში არსებული სამართლებრივი საკითხები თითქმის სრულად იგნორირებულია ქვეყნის ორგანულ კანონებთან (კოდექსებთან) მიმართებაში, რაც კულტურის კანონს მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს.
- ადგილობრივი თვითმართვლობის კანონმდებლობა, რომელიც დაკავშირებულია კულტურის ობიექტების რეორგანიზაციასა და შესაბამისად წლების განმავლობაში შექმნილი ქონების განკარგვასა და მართვასთან დაკავშირებით, პრობლემებს უქმნის ადგილობრივ კულტურის ობიექტებს ნორმალურ, მიზანმიმართულ და ავტონომიურ განვითარებას. ხშირია შემთხვევები, როცა კულტურის ობიექტის შენობა-ნაგებობები ყოველგვარი დასახუთების, კონსულტაციებისა და დარგის სპეციალისტებთან შეთანხმების გარეშე სხვისდება, ვითომცდა მუნიციპალური საჭიროებებიდან გამომდინარე ბიუჯეტის შევსების მიზნით. ხშირი რეორგანიზაციები, ასევე იწვევს კვალიფიცირებული კულტურის სპეციალისტებისა და მუშაკების გათავისუფლებას სამსახურიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.
- არ არსებობს კულტურის ობიექტების სპეციფიკიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე დასაშვები საშტატო ერთეულების დამტკიცებული ინსტრუქციები, რომელიც ხელშეუხებელი იქნებოდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ბიუჯეტის ფორმირების ან ე.წ. „რეორგანიზაციების“ დროს.

ინსტიტუციონალურ და ინფრასტრუქტურულ პრობლემატიკას ქმნის, არც რეგიონში, არც მუნიციპალიტეტის დონეზე კულტურის დაცვისა და განვითარების პროგრამებისა და შესაბამისი სამოქმედო

გეგმების არარსებობა. მიუხედავად მრავალი მცდელობისა მაინც ვერ იქნა მიღებული კულტურის განვითარების არც ეროვნული და არც ადგილობრივი პროგრამები. პროგრამების მიუღებლობის გამო, კულტურისა და ხელოვნების დარგების ფუნქციონირება და განვითარება ხორციელდება ერთიანი ხედვის, პოლიტიკის, კონცეფციის და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე. განსაკუთრებით მწვავედ ეს პროცესები რეგიონალურ, მუნიციპალურ დონეებზე აისახება.

ადგილობრივ დონეზე, კულტურის სფეროსადმი ადმინისტრაციულ-ჩინოვნიკური ჩარევა აკნინებს და შინაარს უკარგავს სუფთა შემოქმედებით პროცესებს. ჩინოვნიკები, რომლებსაც არანაირი წარმოდგენა არ გააჩნიათ კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელობის შესახებ, თავად გამოდიან როგორც დამფინანსებელ-დამგეგმავებად, ასევე, შემსრულებლებად, ისე, რომ არავინ არ განიხილავს ამა თუ იმ პროექტის მხატვრულ-შემოქმედებით ღირებულებებს. ხელისუფლების მხრიდან ასეთი „სპორტული“ მიდგომები – დავალებებითა და მითითებებით ორგანიზებული ღონისძიებების მიმართ, იწვევს შემოქმედი ადამიანების პროტესტსა და ნიჰილისტურ დამოკიდებულებას.

ადგილობრივ ბიუჯეტში კულტურის განვითარების სექტორში საერთოდ არ არის გათვალისწინებული შემოქმედი და ხელოვანი ადამიანების ხელშეწყობა, მათი დაფინანსება და საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა. მთავარი აქცენტი გადატანილია სოფლების, ქალაქის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე, რაც რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, მაგრამ სოფლად, ქალაქად მოღვაწე ხელოვანებისათვის ადგილობრივი ინფრასტრუქტურული პროგრამების პარალელურად, ან ფარგლებში მნიშვნელოვანია ადგილობრივი კულტურული პროექტების შემუშავება და დაფინანსება.

რეალურად, ადგილობრივ დონეებზე კულტურული ცხოვრება ჩამკვდარია, განადგურებულია ან გასხვისებულია ყოფილი კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, რაც ფაქტიურად რეალურ ფესვებს აცლის ეროვნულ კულტურულ ტენდენციებს. ტრადიციული ხალხური რენვა, რომელიც სახვითი ხელოვნების საფუძველს წარმოადგენს, თითქმის მივიწყებულია. ჩატეხილია ხიდი თაობათა შორის. ძველი თაობის ოსტატები მიდიან ისე, რომ თავიანთ ცოდნა-გამოცდილებას ვერ უზიარებენ ახალ თაობებს. რის გამოც ნელ-ნელა იკარგება რენვის უნიკალური უძველესი ტექნოლოგიები და „ოსტატი-შეგირდის“ ურთიერთობის ტრადიციები.

მოქმედ ოსტატებს უჭირთ საჭირო მასალებისა და ინვენტარ-აღჭურვილობის შეძენა მათი სიძვირის გამო. ადგილზე თითქმის არ არსებობს მსგავსი მასალების შესაძენად სავაჭრო ობიექტები. ასევე

პრობლემები ექმნებათ ნამუშევრების რეალიზაციის კუთხით, რადგან არ არსებობს შესაბამისი სავაჭრო სალონები.

იდენტური პრობლემები გააჩნიათ ადგილობრივ მხატვრებს, მოქანდაკეებს, დიზაინერებს, რომლებსაც საკუთარი თვითრეალიზაციისათვის განსაკუთრებული ძალისხმევის გამოჩენა ჭირდებათ, რათა შემოქმედებითად არ განადგურდნენ. ფაქტიურად აღარ არსებობს შემოქმედებითი სახელოსნოები, სტუდიური მუშაობა. ბევრი მათგანი სულ სხვა სფეროშია დასაქმებული, რათა გადაირჩინოს საკუთარი თავი, ოჯახის წევრები.

მუნიციპალიტეტში სახვითი ხელოვნების დარგის შენარჩუნებას, პოპულარიზაციას და განვითარებას ემსახურება მხოლოდ ორი მუნიციპალური ორგანიზაცია – თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი–სურათების გალერეა და სამხატვრო სკოლა, სადაც 100–მდე ნიჭიერი ბავშვი ეუფლება მხატვრობას.

სამხატვრო სკოლას არ გააჩნია საკუთარი შენობა–ნაგებობა, ის შეკედლებულია მუნიციპალური კინოთეატრის შენობაში. ორმოცწლიანი ისტორიის, დიდი ტრადიციების მქონე სკოლა, ასევე მოკლებულია მატერიალურ–ტექნიკურ ბაზასა და სხვა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებს. გამოცდილი პედაგოგების ძალისხმევისა და ხშირად ენთუზიაზმის ხარჯზე ყოველწლიურად სკოლას 20–მდე ბავშვი ამთავრებს. სამხატვრო აკადემიასა და სხვა სასწავლებლებში ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, სამრეწველო დიზაინის სპეციალობებზე წარმატებით აბარებს ეროვნულ გამოცდებს 3–5 მოსწავლე. სკოლის მოსწავლეები ხშირად გამოდიან გამარჯვებულები ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე. თუმცა, უმაღლესდამთავრებული, კვალიფიცირებული ნიჭიერი თაობა საკუთარი ნიჭის თვითრეალიზაციისათვის ამჯობინებს დედაქალაქში, სხვა დიდ ქალაქებში დარჩენას, სადაც შემოქმედებითი ცხოვრების გაგრძელების გაცილებით მეტ შესაძლებლობებს ხედავენ.

მუნიციპალიტეტის, ასევე მთლიანად გურიის მხარის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალაქის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი – სურათების გალერეა. ცენტრის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გამოფენების მოწყობა–ორგანიზაცია, შემოქმედებითი ღირებულებების შექმნა–მოპოვება და დაფინანსება, შემოქმედი ადამიანების ხელშეწყობა, მათთვის საგამოფენო და საკომუნიკაციო სივრცის უზრუნველყოფა. გალერეა ყოველწლიურად მუნიციპალური ბიუჯეტისა და საკუთარი სახსრებით აწყობს 10–15, როგორც ადგილობრივი მხატვრების, ასევე, ქვეყანაში მოღვაწე და უცხოელ ხელოვან ადამიანთა ნამუშევრების გამოფენას, გამოსცემს მნიშვნელოვანი გამოფენების კატალოგებს, ორგანიზაციას უკეთებს მოსწავლე მხატვართა რეგიონალურ გამოფენა–

კონკურსებს, აქციებს. ღვანღმოსილი შემოქმედი ადამიანების პოპულარიზაციის მიზნით გალერეის წინამდებარე ტროტუარზე ხსნის სახელობით „ოქროს პალიტრას“. ასევე ახორციელებს პროექტს „საქართველოს რეგიონები – კულტურული თანამშრომლობა“, რომლის ფარგლებში ყოველწლიურად მართავს, როგორც ადგილობრივ, ასევე, გასვლით გამოფენებს ოზურგეთელი და ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების მხატვრების მონაწილეობით. ცენტრში ფუნქციონირებს დაზგური გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნო.

ცენტრის სამომავლო მიზნებს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება უცხოელ შემოქმედებით ჯგუფებთან, ცალკეულ ხელოვან ადამიანებთან, გალერეებთან სახვითი ხელოვნების მუზეუმებთან. ასევე მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურული ტურიზმის განვითარება.

ამ მიზნით ცენტრისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს გალერეის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. გამომდინარე იქედან, რომ ცენტრი განთავსებულია 80 წლის საცხოვრებელი სახლის შენობაში (496 კვ.მ), მოითხოვს ფიზიკურად და მორალურად მოძველებული საგამოფენო დარბაზების ინტერიერისა და განყოფილებების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის კაპიტალურ რემონტს, ფონდების განყოფილების რეაბილიტაციას, მატერიალურ – ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. ფონდების განყოფილებაში დაცულია ქართველ და უცხოელ მხატვარ-შემოქმედთა 200-მდე ნამუშევარი. უსახსრობის გამო ვერ ხერხდება ნამუშევრების შესაბამისი კლიმატ-რეჟიმის შექმნა, რაც საფრთხეს უქმნის ექსპონატების დაცულობას.

ცენტრის სამომავლო განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგალერეო მენეჯმენტის თანამედროვე ფორმების დანერგვას, ახალი მულტიმედიური და ანიმაციური ტექნოლოგიების შესწავლასა და გამოყენებას, ადგილობრივი კულტურული საზოგადოების აქტიურ ჩართულობას გალერეის საქმიანობაში დამთავალიერებელთა რაოდენობის გაზრდის მიზნით. ამისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და ინოვაციური ფორმების გამოყენება გალერეის საქმიანობაში.

კულტურის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები – საქართველოს კულტურის ფონდის ფილიალი, გურიის მხატვართა შემოქმედებითი კავშირი შედარებით ახლადჩამოყალიბებული ორგანიზაციებია და რესურსების, შესაძლებლობების ნაკლებობას განიცდის. მიუხედავად ამისა დამხარე საქმიანობიდან და საწევრო შენატანიდან მიღებული მცირე შემოსავლებიდან მაინც ხერხდება გარკვეული აქტივობების განხორციელება.

მიგვაჩნია, რომ სახელოვნებო დარგების განვითარების განხორციელება შესაძლებელია ადგილობრივი ხელისუფლებისა და ინსტიტუციების თანამშრომლობის გზით, ასევე კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობით. დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობით უნდა შემუშავდეს კულტურის დაცვისა და განვითარების ადგილობრივი პროგრამა, ვადებში განწერილი შესაბამისი სამოქმედო გეგმით. მისი შესრულება უნდა განხორციელდეს გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად საეტაპო შედეგებიდან გამომდინარე და ყოველწლიურად სავალდებულო ასახვა უნდა ჰქონდეს ადგილობრივ ბიუჯეტებში.

ავთანდილ თავართქილაძე,

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი

ხელოვნების ცენტრის – სურათების გალერეის დირექტორი

გიორგი ქერქაძე,

საქართველოს კულტურის ფონდის გურიის

ფილიალის პროექტების მენეჯერი